


ზუგდიდის მუნიციპალიტეტი



სატენდერო დოკუმენტაცია

**გამარტივებული ელექტრონული ტენდერით ზუგდიდში
ქუჩების (თავისუფლების ქუჩის I შესახვევი, ჩარბაზიას ქუჩა)
ბზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების
შესყიდვაზე**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ზუგდიდი, 2014 წელი

1. **ბასაწმევი მომსახურების ჩამონათვალი**

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

1. ზუგდიდში თავისუფლების ქუჩის I შესახვევის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
2. ზუგდიდში ჩარგაზიას ქუჩის ნაწილის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;

2. **ტექნიკური დავალება**

2.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- განმარტებით ბარათს (სამუშაოების აღწერილობა, პროექტის არსი და ა.შ.);
- უწყისები;
- სამუშაოების მოცულობების კრებსით უწყისს;
- მშენებლობის ორგანიზაციას (ძირითადი მასალების ამონაკრები (სადაც საპროექტო ორგანიზაციამ დეტალურად უნდა აღწეროს მასალები, უნდა იყოს მითითებული მასალის მოდელი, მარკა და მწარმოებელი ფირმა), საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი);
- გრაფიკული ნაწილს (სიტუაციური გეგმები, ტოპო გადაღება, ჭრილები, კვანძები (ორმული შეკეთებისას);
- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას (სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით); ასევე, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მასალებზე ფასთა სხვაობების არსებობისას ხარჯთაღრიცხვის კორექტირება.
- მოქმედი სამშენებლო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებულ სხვა აუცილებელ დოკუმენტებს.

2.2 სხვა დამატებითი მოთხოვნები:

- ქუჩების რეაბილიტაცია უნდა ითვალისწინებდეს არსებული შესახვევების მოწყობას ასფალტობეტონით ნმ-მდე საპროექტო ქუჩის კიდიდან.
- საპროექტო დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარედგინოს დაბეჭდილად, **A3** ფორმატით, სრული პროექტი უნდა იყოს (Syifaen) შრიფტში აკრეფილი, **3** (სამი) ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიად (კომპაქტ დისკით);

- საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ყველა ეტაპის მიმდინარეობა (გაუთვალისწინებელი სამუშაოების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაშიც) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა წინასწარ უნდა შეათანხმოს შემსყიდველს (ხელშეკრულების ინსპექტირების ჯგუფს).
- საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა მოახდინოს მიწისქვეშა და მიწის ზედა კომუნიკაციების (ელექტრო გადაცემა ხაზების, მაგისტრალური გაზსადენების და სხვა) მდგომარეობის შესწავლა, ტოპოგრაფიულ გეგმებზე დატანა და შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან;
- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა უზრუნველყოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა (პროექტის შესრულების კოტროლი, ობიექტის მონახულება, კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიფიკაციის, პროექტთან შესაბამისობის დადასტურება);
- პრეტენდენტმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს პროექტის (მ.შ ხარჯთაღრიცხვის) ექსპერტიზის ჩატარება (დამოუკიდებელი ექსპერტის - შესაბამისი დასკვნა) და პროექტთან ერთად ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

2.3 მომსახურების გაწევის ვადები:

- პროექტის წარმოდგენის სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე, ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილია: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(კ რ ო მ ქ ტ ი)

ქ. ზუგდიდი

„---“-----“, 2014 წელი.

ერთის მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA**.....) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ მომსახურების (**CPV კოდი:**) შესყიდვა, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს (.....) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1 მომსახურების გაწევა „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (.....) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.2 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს ვადაძლე გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 3.3 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ფუნქციონირება

- 5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ, უნაღლო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.
- 5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განხორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- 6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 6.1.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- 6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
- 6.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- 6.2.3 დაუბრკოლებლივ განხორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;
- 6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- 6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;
- 6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;
- 6.3.4 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი;
- 6.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 6.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

- 6.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

- 7.1 მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების ვიზუალიზაცია

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მისს პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12.3 თუ „მიმწოდებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღისათვის, პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.

12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 პასუხიმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 13.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. ღაჟამის გადაწყვეტის წესი

- 15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 16.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი თანამშრომელთა ჯგუფი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“) შემდეგი შემადგენლობით:
- 16.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 16.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი „ინსპექტირების ჯგუფი“ უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 16.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 16.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს „ინსპექტირების ჯგუფს“ შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს მომსახურების გაწევისთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
- 16.7 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საშუალო პირობებით.

17. დანაკვეთილი დებულებანი

- 17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 17.2 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 17.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 17.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 17.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის „----“,-----“-----“-მდე.
- 17.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი: **220391635**

იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვ.

გამსახურდიას გამზ. №45

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“-ს

სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE12LB0120190181874000

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

..... /ლ. კონჯარია/

ხელმოწერა:

3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

3.1 სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

3.2 სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

- ედიშერ თოლორაია – კომისიის თავმჯდომარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;
- მერაბ ქვარაია - კომისიის წევრი, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
- გურგენ სართანია – კომისიის წევრი, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
- გიორგი თოღუა – კომისიის წევრი, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
- თენგიზ შანავა – კომისიის წევრი, გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
- ნანი მიქენაია – კომისიის წევრი, საფინანსო სამსახურის უფროსი;
- ეკატერინე თოღუა – კომისიის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- თენგიზ ქობალია – კომისიის წევრი, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;
- ჯაბა არღია – კომისიის წევრი, კაპიტალური მშენებლობის სამსახურის უფროსი;
- ადამურ არქანია – კომისიის წევრი, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი.

3.3 სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

- ბესიკ ქარდავა – აპარატის წევრი, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის დაგეგმვის, აღრიცხვის და ანალიზის განყოფილების უფროსი.

3.4 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- მომსახურების განფასების შევსებულ ფორმას (დანართი №2-ის შესაბამისად);
- ინფორმაციას პრეტენდენტის სპეციალისტთა (იმ პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას თანდართული ცხრილი №3 შესაბამისად);
- 3.5 პუნქტის გათვალისწინებით შედგენილი ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ (შედგენილი დანართი №4-ის შესაბამისად).
- რეკვიზიტებს (შედგენილი დანართი №5-ის შესაბამისად).
- 3.6 პუნქტის გათვალისწინებით შედგენილი ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო სათანადო ხელსაწყო-მოწყობილობების შესახებ;
- 3.7 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი რეკომენდაცია (ორიგინალის ასლი).

შენიშვნა (1): ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებაში დაკავებულ პერსონალს (სპეციალისტებს) უნდა ჰქონდეს საპროექტო მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 (ხუთი) წელი

3.5 პრეტენდენტ პირს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 (ერთი) წლიანი **საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის** გამოცდილება, შესრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 (სამი) ხელშეკრულება გზების პროექტირების მომსახურებაზე. ასევე, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4000 ლარის ოდენობით (იგულისხმება მის მიერ მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა პროექტის შესრულებისათვის) გზების პროექტირების მომსახურება, ხოლო საერთო ჯამში შესრულებული უნდა უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10000 (ათი) ათასი ლარის ოდენობით (იგულისხმება მის მიერ მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა პროექტის შესრულებისათვის) გზების პროექტირების მომსახურება;

შენიშვნა (2): შემსყიდველი უფლებამოსილია პრეტენდენტს მოსთხოვოს გამოცდილებასთან დაკავშირებული მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რისთვისაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების დასრულების დოკუმენტი, ან/და მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული სამუშაოების დასრულების ცნობა.

3.6 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს (საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ფორმით) სამუშაოების შესრულებისათვის სათანადო ხელსაწყო-მოწყობილობები.

3.7 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 1 (ერთი) დადებითი რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, მის მიერ აღნიშნული ტენდერის გამოცხადებამდე გზების პროექტირების შესრულების შესახებ. რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

შენიშვნა (3): 3.7 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებებზე.

3.8 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.

3.9 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

3.10 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.

3.11 წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 120 (ასოცი) კალენდარული დღით, წინადადების მიღების დაწყების მომენტიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.

3.12 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით.

3.13 *პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.*

3.14 წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

3.15 დაფინანსების წყარო : ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები (მთავრობის მ/წ 13 იანვრის №34 განკარგულება).

3.16 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

შენიშვნა (4): პროტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სატენდერო დოკუმენტაცია და ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

შენიშვნა (5): ამ პუნქტის 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს პროტენდენტის სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

შენიშვნა (6): დაზუსტებას არ ექვემდებარება ხელშეკრულების პროექტში მოცემული საჯარიმო სანქციები, შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის.

შენიშვნა (7): შესაძლებელია პროტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო წერილები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის საშუალებით (kardava.b@gmail.com).

4. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

- 4.1 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-2 სართული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, საკონტაქტო ტელეფონი: 0(415) 25-01-17, მობ. +995 595 22 27 88.

ა ზ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმოწერი: _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით,
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____ (შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____

_____ (ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეების მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შექმუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
4. ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება სემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

- დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შენაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აკებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

მომსახურების დასახელება და განფასება

(ივსება პრეტენდენტის მიერ)

პრეტენდენტის დასახელება _____

გასაწევი მომსახურების დასახელება (დასაპროექტებელი ქუჩები)		თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4
1	ზუვდიდში თავისუფლების ქუჩის I შესახვევის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება		
2	ზუვდიდში ჩარგაზიას ქუჩის ნაწილის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება		
		ჯამი	
		დღგ 18 %	
		სულ ჯამი	

შენიშვნა (8): სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

შენიშვნა (9): გამრჯეველ პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

შენიშვნა (10): დღგ–ს არ გადამხდელმა ხარჯთაღრიცხვის შესაბამის გრაფაში მაინც უნდა მიუთითოს შესაბამისი დღგ–ს თანხა, რომელიც გადახდაზეც შემსყიდველის მხრიდან არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ინფორმაცია კრედიტდენტი სპეციალისტთა (იმ პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

შევსების თარიღი: _____

პრეტენდენტის დასახელება _____

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (ობიექტის და/ან მუშების ადგილის, ვადების მითითებით)	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობების წლების მიხედვით და სხვ.)
1				
2				
.				
.				
.				
.				
.				
.				
.				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

თარიღი: ____ ____ 2014 წ.

პრეტენდენტის დასახელება _____

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

№	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება
1				
2				
.				
.				
.				
.				
.				
.				
.				
.				
.				

პრეტენდენტის ხელმოწერა-----

ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ

თარიღი: ____ ____ 2014წ.

პრეტენდენტის დასახელება _____

იურიდიული ფორმა:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
საკონტაქტო ტელეფონი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ელექტრონული ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____